ვარშავა. პოლონეთის არმიის სტადიონი. 3 მარტი.

“ლეგია” (ვარშავა) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“ლეგია”: კაზიმერსკი, ტოპოლსკი, იანასი, მილევსკი, მაევსკი, პალენჟნი, მილოშევიჩი, ადამჩიკი, კაკეტეკი, ივანიცკი (სიკორსკი), კუსტო.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი) სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: უ. ერიქსონი (შვეცია).

მატჩს დაესწრო 35.000 მაყურებელი.

იშვიათად, რომ ფეხბურთელებს თამაში მოუწიოს ასეთ პირობებში: ხანგრძლივი თოვლისა და წვიმის შემდეგ ვარშავის სტადიონის მინდორი გალღვა და დამძიმდა, ყოველი ტექნიკური ილეთის შესრულება მოითხოვდა ძალ–ღონის დაძაბვას – ბურთი ძნელად ემორჩილებოდა ფეხბურთელებს და ტექნიკური წუნი საკმარისზე მეტი იყო. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასეთი მინდორი ვარშაველ ფეხბურთელთათვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, რადგან დინამოელებს ტალახში გაუჭირდათ ტექნიკური უპირატესობის რეალიზება. ამდენად, პირველ პლანზე წამოიწია ტაქტიკურმა გეგმამ, მოთამაშეთა ფიზიკურმა მზადყოფნამ, სანებისყოფო თვისებებმა.

თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი. მთელი გუნდი, უკლებლივ ყველა ფეხბურთელი, მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად. “ლეგიას” მხარეს ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები და ერთ–ერთი მათგანი დამთავრდა მასპინძელთა კარში გატანილი გოლით, რომელმაც თბილისის “დინამოს” არსებითად შეუქმნა მეოთხედფინალის მოგების საიმედო გარანტია.

ეს მოხდა მე–9 წუთზე, სულაქველიძე, რომელმაც ეს მატჩი საერთოდ შესანიშნავად ჩაატარა, მეტოქის კარიდან დაახლოებით 25 მეტრზე კარგად გაერკვა შექმნილ სიტუაციაში და შეამჩნია, რომ მიეცა კარში დარტყმის შესაძლებლობა. თბილისელის მიერ კარისკენ ძლიერად გაგზავნილი ბურთი მოხვდა ვარშაველთა ერთ–ერთ მცველს, გადაუარა წინ გამოსულ მეკარე კაზიმერსკის და ჩაეშვა ბადეში – 1:0.

ვარშაველები მაშინვე შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას და მთელი ძალებით დაიძრნენ წინ, მაგრამ დინამოელებს ტაიმის ბოლომდე არ შეუწყვეტიათ აქტიური თამაში – ისინი კარგად უხამებდნენ ერთმანეთს დაცვასა და შეტევას. შესვენებამდე დარჩენილ დროში “ლეგიას” ანგარიშის შეცვლის რეალური შესაძლებლობანი არსებითად არა ჰქონია.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ. თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა თბილისელთა დაცვას და, უნდა ითქვას, მცველებმაც, ნახევარმცველებმაც შეძლეს კარის უვნებელყოფა. ჩვენს ცალკეულ ფეხბურთელებს არ გამოვყოფთ, ვინაიდან ამ ძნელი დაცვითი თამაშისას ყველა თანაბრად თავდადებით დაიხარჯა, ყველა მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ყველა კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშვნის ღირსია ჩვენი მეკარე ო. გაბელია, რომელიც თავგანწირვით, მაღალოსტატურად იგერიებდა მასპინძელთა სახიფათო დარტყმებს. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ყიფიანი – იგი ხანგრძლივად იყო გამოსული მწყობრიდან და ამის მიუხედავად ვარშავაში სრული დატვირთვით, შეიძლება ითქვას, თავგანწირვით იბრძოლა და დიდი შემწეობა გაუწია კოლექტივს.

1:0 მეტოქის მინდორზე, ეს ევროპული თასის მატჩში კარგი შედეგია და საერთო წარმატების კარგი საფუძველიც გახლავთ, თუმცა, ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქმე მოთავებულია: “ლეგია”, როგორც ვნახეთ, ძლიერი მეტოქეა, შეუძლია მთელი ძალებით იბრძოლოს და, ეჭვგარეშეა, თბილისში ყველაფერს გააკეთებს დანაკარგის ასანაზღაურებლად. ვფიქრობთ, თბილისელი ფეხბურთელებიც, თავის მხრივ, არ დასჯერდებიან მიღწეულს, 17 მარტსაც გაგვახარებენ ახალი წარმატებით.

მატჩის შემდეგ მოეწყო პრესკონფერენცია, სადაც თბილისის “დინამოს” უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა განაცხადა:

– წყლით დაფარულ მინდორზე თამაში ძალიან ძნელი იყო, ამიტომ გუნდებმა მთლიანად ვერ გამოავლინეს შესაძლებლობანი. არც გამიკვირდებოდა, რომ პოლონელებს გაემარჯვათ. “ლეგიის” შემადგენლობაში მინდა გამოვყო თავდამსხმელი მარეკ კუსტო. ჩემი აზრით, პირველი მატჩი თბილისში რომ შემდგარიყო, ორივე გუნდის მოთამაშეები უფრო მაღალ კლასს აჩვენებდნენ. თბილისში თბილა, კარგი ამინდი დგას, ამიტომ მეორე შეხვედრა უფრო საინტერესო იქნება. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მატჩი კორექტულად მიმდინარეობდა.

“ლეგიას” უფროსი მწვრთნელის კ. გურსკის აზრი ასეთია:

ჩვენც შეგვეძლო მოგვეგო მინიმალური ანგარიშით, მაგრამ ფეხბურთი ისეთი თამაშია, სადაც იმარჯვებს ის, ვისაც გოლი გააქვს. ჩემს მოთამაშეებს და მეკარეს საყვედურს ვერ ვეტყვი: ბურთი მოხვდა ერთ–ერთ მცველს და ჩაიჭრა კარში, კაზიმერსკი კი უძლური იყო. თბილისის დინამოელთაგან აღვნიშნავ ვიტალი დარასელიას. განმეორებითი მატჩი თბილისში ჩვენთვის საპასუხისმგებლოც იქნება და მძიმეც. თუმცა ფავორიტი, ჩემი აზრით, უკვე გამოკვეთილია – ესაა თბილისის "დინამო".

საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს კომენტატორმა კ. მახარაძემ განაცხადა, რომ პოლონეთის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ საინტერესო ამბები აუწყეს ფეხბურთის მოყვარულებს თბილისის დინამოელებზე, აღნიშნეს მათი დადებითი მხარეები, ხაზი გაუსვეს ნ. ახალკაცის უნარიან საქმიანობას, ცალკეულ ფეხბურთელთა ოსტატობას, ჩვენს გუნდს კი ვარშავაში სანაქებო შეხვედრა მოუწყვეს.

"ლელო", 9 მარტი, 1982 წ.